

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კუზანოვ დენტი“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 3-4

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება ----- 5-6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----- 7

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----- 8-14

**შპს „კუზანოვ დენტი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრისათვის**

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	107972	113466
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	5107	4902
სხვა პირებზე ავანსებად და შესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	10772	53653
მარაგები	-	44398	39050
მზა პროდუქცია		0	0
სხვა		44398	39050
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1300	1096
სხვა არამატერიალური აქტივები	4	0	0
ძირითადი საშუალებები	4	1171874	1121512
სულ აქტივები		1341423	1333679
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები		34763	53382
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		250860	347119
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0
სხვა ვალდებულებები		0	0
სულ ვალდებულებები		285623	400501
საკუთარი კაპიტალი			

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		68000	68000
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		987800	860233
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	-	1055800	928233
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1341423	1328734

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვ დენტი“

2023 წ 31 დეკემბრის დასრულებული წლის

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	-	<u>2237099</u>	<u>1789257</u>
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან		2237099	1789257
გაყიდვების თვითღირებულება		-583829	-464670
საერთო მოგება		1653270	1324587
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1224324	-932750
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-121495	-150303
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		-3604	-5763
იჯარის ხარჯი		-21656	-16242
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-155605	-104464
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	-	<u>-1526684</u>	<u>-1209522</u>
საოპერაციო მოგება		126586	115065
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		981	10939

მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
<u>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</u>	-	<u>127567</u>	<u>126004</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		0	-11145
<u>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</u>	-	<u>127567</u>	<u>114859</u>
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		928233	876532
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	-63158
<u>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</u>	-	<u>1055800</u>	<u>928233</u>

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

შპს „კუზანოვ დენტი“

2023 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	68,000.00	860,233	928,233
წმინდა მოგება		127567	
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	987,800	
გაცემული დივიდენდი	-	0	
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	68,000.00	987,800	1,055,800

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

ზოგადი ინფორმაცია

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “კუზანოვ დენტი” (შემდეგ - კლინიკა) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით **206333118**. კლინიკის იურიდიული მისამართია ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის ქ., N53ა, ბ.N9, ხოლო ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი პავლე ასლანიძის ქ. 14.

კლინიკის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართო პროფილის სტომატოლოგიური საქმიანობა.

- კომპანიის 60 %-ის წილის მფლობელია ივანე კუზანოვი, ხოლო 40%-ის რობერტ აგამირიანი;
- დირექტორი სოფიო ყაზახაშვილი .
- კლინიკის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 68000 ლარს.

•

კლინიკაში 2023 წლს საშუალოდ დასაქმებული იყო 25 გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კლინიკა მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კლინიკა წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2023 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2023 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2023 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიკვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღრებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღრებულებით. თვითღრებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კლინიკაში დასაქმებულისგან.

შენიშვნა1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
ფული სალაროში	138	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	107,834	1,134,466
სულ ჯამი	107,972	1,134,466

შენიშვნა 2-სავაჭრო მოთხოვნები

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
	5107	4,902
სულ ჯამი	5,107	4,902

შენიშვნა 3 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	10,772	53,653
სულ ჯამი	10,772	53,653

შენიშვნა 4- ინფორმაცია																				
შპს „კუჩანოვ დენტი“-ს ძირითადი საშუალებების თაობაზე																				
ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე	2023 წ. პერიოდის საწყისი მონაცემები				პერიოდში განხორციელებული ცვლილებები												პერიოდის ბოლოს მონაცემები			
					შემოსავალი		გასავალი						ცვეთა							
					შესყიდვა	კაპიტალიზაცია	რეალიზაცია		სხვა											
დასახელება	რაოდენობა	დირექტული	აკუმულირებული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტული	კაპიტალიზაცია	რაოდენობა	დირექტული	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტული	ნარჩენი	გაყიდული	მიმდინარე	რაოდენობა	დირექტული	აკუმულირებული	ნარჩენი	
შენობა		942903	169614	773289	1		0								28387		993743	198002	795741	
სამედიცინო		515991	255153	260838	13	114732									71298		630723	326451	304272	
1.14 ავეჯი ოფისისათვის		66067	37625	28442											1331		66067	38956	27111	
1.15 სხვა;		34914	29999	4915											1478		34914	31477	3437	
1.9 ელექტრონიკული მოწყობილობა		81419	33826	47592											15520		81419	49346	32073	
1.8 კომპიუტერები.		14139	7703	6436	8	6284.6									3482		20424	11185	9239	
ჯამური მონაცემი		1655433.1	533921	1121512	22	171857	0	0	0	0	0	0	0	0	121495	0	1827289.8	655416	1171874	

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი